



საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანება

სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადებისა და
კვალიფიკაციის ამაღლების 2016 წლის სახელმწიფო პროგრამის

შ ე ფ ა ს ე ბ ა

ანგარიშზე მუშაობდნენ:

გიორგი ჭანტურიძე - ეკონომიკური ანალიტიკოსი, საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანება

ნინო ესართია - ანალიტიკური დეპარტამენტის სპეციალისტი, საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანება

პროექტი განხორციელდა ფრიდრიხ ებერტის ფონდის მხარდაჭერით.

პუბლიკაციაში წარმოდგენილია ავტორთა პირადი მოსაზრებები. დაუშვებელია ფრიდრიხ ებერტის ფონდის მიერ გამოცემული მასალების კომერციული მიზნით გამოყენება ფონდის თანხმობის გარეშე.

© ფრიდრიხ ებერტის ფონდი

შესავალი

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულ სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტომ 2016 წელს მეორედ განახორციელა „სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამა“.¹

პროგრამის მიზანი 2015 წლის პროგრამის მსგავსად იყო შრომის ბაზრის მოთხოვნად პროფესიებში სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადებით და სამუშაო ადგილებზე შემდგომი სტაჟირებით მათი კონკურენტუნარიანობის ამაღლება და ამ გზით სამუშაოს მაძიებელთა დასაქმების ხელშეწყობა.

ამ მიზნის განსახორციელებლად ჩამოყალიბდა შემდეგი ძირითადი ამოცანები:

ა) შრომის ბაზრის მოთხოვნის თვისებრივი კვლევის შედეგების გაანალიზების საფუძველზე, შრომის ბაზარზე მოთხოვნილი პროფესიებისა და თავისუფალი სამუშაო ადგილების გამოვლენა;

ბ) მოთხოვნილი პროფესიების შესაბამისი მოკლევადიანი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებების გამოვლენა;

გ) მოკლევადიანი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და მათ ფარგლებში პროფესიული მომზადება-გადამზადების დაგეგმვა;

დ) კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, თავისუფალი სამუშაო ადგილების არსებობის შემთხვევაში, რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების (სტაჟირების) ორგანიზება;

პროგრამის განხორციელებით პრაქტიკაში უნდა მომხდარიყო პროფესიულ განათლებაში, თეორიულ სწავლებასთან ერთად, სამუშაო ადგილებზე სწავლების კომპონენტის შემოტანა და პროფესიული კოლეჯებისა და პროგრამაში მონაწილეობის მსურველი დამსაქმებლების მჭიდრო თანამშრომლობის საფუძველზე, პროგრამის მოსარგებლეთა მაღალი კვალიფიკაციის უზრუნველყოფა.

2016 წლის პროფესიული მომზადება-გადამზადების კომპონენტში დარეგისტრირდა 2125 სამუშაოს მაძიებელი, მათგან კურსი ბოლომდე გაიარა 1804-მა. სტაჟირების კომპონენტში დარეგისტრირდა 47 სამუშაოს მაძიებელი, ხოლო 39-მა მათგანმა გაიარა სტაჟირების სრული კურსი.

¹ <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3297886>

პროგრამის ეფექტიანობის შეფასების ინდიკატორებად ვიყენებთ იგივე მაჩვენებლებს რაც გამოვიყენეთ 2015 წლის პროგრამის შეფასებისას, კერძოდ:

- ბენეფიციართა რაოდენობის თანაფარდობა, რომლებმაც გაიარეს სტაჟირება ბენეფიციართა საერთო რაოდენობასთან.
- იმ ბენეფიციართა წილი საერთო ბენეფიციართა რაოდენობაში, რომლებიც პროგრამის დასრულების შემდეგ 1 წლის განმავლობაში დასაქმდნენ.
- დახარჯული საბიუჯეტო სახსრებისა და დასაქმებულ ბენეფიციართა რაოდენობის თანაფარდობა.

სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ დადგენილებით, განსაზღვრული ღონისძიებების კოორდინაცია და პროგრამით განსაზღვრული ღონისძიებების რეალიზაციაზე მეთვალყურეობისა და კონტროლის განხორციელება, შედიოდა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მოვალეობაში.

პროგრამის განხორციელებაზე ზედამხედველობისა და ინსპექტირების ვალდებულება გააჩნდა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულ სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს.

საქართველოს პროფკავშირების გაერთიანებამ, ფრიდრიხ ებერტის ფონდის მხარდაჭერით 2015 წელს განახორციელა აღნიშნული პროგრამის მონიტორინგი და შედეგები გააცნო ფართო საზოგადოებასა და ყველა დაინტერესებულ მხარეს, მათ შორის საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წარმომადგენლებს. 2016 წლის პროგრამის შედეგების მონიტორინგი პროფკავშირებმა დაიწყო მიმდინარე წლის აპრილში კვლავ ფრიდრიხ ებერტის ფონდის მხარდაჭერით.

პროექტის მიმდინარეობისას შემუშავდა სპეციალური კითხვარი, გამოკითხვების ჩასატარებლად. ჩატარდა სამუშაო შეხვედრები და ინტერვიუები პროგრამის ბენეფიციარებთან, პროგრამაში ჩართული დამსაქმებლების, კოლეჯებისა და სახელმწიფოს წარმომადგენლებთან.

ძირითადი მიგნებები

სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების 2016 წლის სახელმწიფო პროგრამის მონაწილეთა მნიშვნელოვანი ნაწილი დღევანდელი მდგომარეობით, კვლავ დაუსაქმებელია და წინამდებარე გამოკვლევამდე ბოლო სამი თვის განმავლობაში კვლავ ეძებდა სამსახურს;

რესპონდენტთა სუბიექტური შეფასებით, სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების 2016 წლის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში მიღებული ცოდნა იმსახურებს 4,27 ბალს 5 ბალიანი შეფასების სისტემიდან.

გამოკითხული რესპონდენტების 65% თვლის, რომ მიღებული ცოდნით შესაძლებელია მუშაობის დაწყება.

სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების 2016 წლის სახელმწიფო პროგრამის მონაწილეთა იმ ნაწილმა, რომელმაც ვადაზე ადრე შეწყვიტა სწავლა, ამის უმთავრეს მიზეზად სწავლების დაბალი ხარისხი დაასახელა.

კოლეჯების ადმინისტრაცია წინა წელთან შედარებით უფრო ორგანიზებული შეხვდა მომზადება-გადამზადების პროცესს და უფრო მოთხოვნაზე ორიენტირებული პროგრამები შესთავაზა მომხმარებელს.

2015 წლის პროგრამისგან განსხვავებით, პროგრამას დაემატა ისეთი პროფესიები, რომლებზე მოთხოვნაც დამსაქმებლების მხრიდან მოდიოდა, რაც საბოლოოდ აისახა დასაქმების დონის უკეთეს მაჩვენებელში.

სოციალური მომსახურების სააგენტომ მომზადება/გადამზადების კომპონენტის დასრულების შემდეგ ჩაატარა დასაქმების ფორუმი, რამაც დადებითი როლი ითამაშა ბენეფიციარების დასაქმებაში.

მეთოდოლოგიური მიმოხილვა

გამოკვლევის უმთავრეს მიზანი იყო სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების 2016 წლის სახელმწიფო პროგრამის შეფასება.

გამოკვლევის დასაწყისში მომზადდა კითხვარი, რომლის საფუძველზეც უნდა შეგროვებულიყო მონაცემები. იმის გამო, რომ არ არსებობდა ერთიანი ბაზა, სადაც მოცემული იქნებოდა სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების 2016 წლის სახელმწიფო პროგრამაში მონაწილეთა სრული საკონტაქტო მონაცემები (მისამართი, საკონტაქტო ინფორმაცია და ა.შ.), ძალიან გართულდა პოტენციური რესპონდენტების მოძიება. მათი შერჩევისთვის გამოყენებული იქნა ე.წ. „თოვლის გუნდის მეთოდი“, რომელიც შერჩევითა არაალბათურ კატეგორიას განეკუთვნება. ამ გამოკვლევის შედეგების მიხედვით, შეუძლებელია რაიმე კონკრეტული სტატისტიკის შესახებ საუბარი, თუმცა ის იძლევა მნიშვნელოვანი ტენდენციების დაფიქსირების საშუალებას.

- სულ, მოძიებული იქნა „სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების 2016 წლის სახელმწიფო პროგრამის“ 210 მონაწილე. ეს ის რაოდენობაა, რომლებმაც ისურვეს გამოკვლევაში მონაწილეობის მიღება. თუმცა იყვნენ ისეთებიც, რომლებმაც უარი განაცხადეს ყოველგვარი პასუხის დაფიქსირებისგანაც (172).

გამოკვლევის ფარგლებში ასევე განხორციელდა სიღრმისეული ინტერვიუები:


- შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს კომპეტენტურ წარმომადგენელთან;
- იმ კოლეჯების წარმომადგენლებთან, სადაც მიმდინარეობდა სწავლების პროცესი.
- იმ დამსაქმებლებთან, რომლებიც მონაწილეობდნენ პროგრამის კვალიფიკაციის ამაღლების კომპონენტში.

განხორციელებული სიღრმისეული ინტერვიუების მიზანი იყო სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების 2016 წლის სახელმწიფო პროგრამის ორგანიზატორი მხარის მოსაზრებების თვისობრივი შესწავლა. სიღრმისეული ინტერვიუ ჩატარდა ამისთვის სპეციალურად მომზადებული კითხვარის (გზამკვლევი) მეშვეობით.

პროგრამაში მონაწილეთა ამჟამინდელი დასაქმების სტატუსი

გამოკვლევაში მონაწილეთა უმეტესი ნაწილი ამ ეტაპზე დაუსაქმებელია. ისინი კვლავ სამუშაოს მაძიებელთა რიგებში არიან (დიაგრამა 1).


დიაგრამა 1. გამოკითხულთა შორის დასაქმებულთა რაოდენობა



როგორც ამ გრაფიკულ გამოსახულებაში ჩანს, სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების 2016 წლის სახელმწიფო პროგრამაში იმ მონაწილეთა პროცენტული წილი, რომლებიც ამჟამად სამუშაოს მაძიებელთა რიგებში არიან, 64,8%-ს შეადგენს. ხოლო დასაქმებული მხოლოდ 35,2%-ია.

სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების 2016 წლის სახელმწიფო პროგრამაში იმ მონაწილეთა 68,4%, რომლებიც დაგვთანხმდნენ ინტერვიუზე, გამოკვლევის საანგარიშო პერიოდის განმავლობაში კვლავ ეძებდა სამსახურს (დიაგრამა 2).

დიაგრამა 2. სამუშაოს მაძიებელთა რაოდენობა




ზემოთ მოყვანილი მონაცემების საფუძველზე, შეიძლება ითქვას, რომ სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამაში მონაწილეთა უმეტესობამ, კვლევაც ვერ გადაჭრა უმუშევრობის პრობლემამ.

სამუშაო ადგილების ძებნა

გამოკვლევის შედეგების თანახმად, რესპონდენტები ყველაზე უფრო ხშირად სამუშაო ადგილებს ინტერნეტში გამოქვეყნებული განცხადებების მეშვეობით ეძებენ. ამ პასუხს აფიქსირებს მათი 40%, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ეს მაჩვენებელი მნიშვნელოვნად შემცირდა წინა წლის გამოკითხვასთან შედარებით (67%). სამაგიეროდ 38%-მდე გაიზარდა იმ ბენეფიციართა რაოდენობა, რომლებიც სამუშაოს სანაცნობო წრეში ეძებდა. პრესის საშუალებით სამუშაოს ეძებდა 4%, ტელევიზიის საშუალებით 2%, ხოლო სხვა გზებით სამუშაოს ეძებდა გამოკითხულთა 15%.

დიაგრამა 3. სამუშაოს ძიების გზები




როგორც ამ გრაფიკული გამოსახულებიდან ჩანს პროგრამის მონაწილეები ყველაზე ხშირად სამუშაოს ეძებენ ინტერნეტისა და სანაცნობო წრის საშუალებით. სანაცნობო წრეში სამუშაოს მაძიებელთა რაოდენობის ზრდა გასაკვირი არც არის, ვინაიდან საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ 2015 წელს ჩატარებული შრომის ბაზრის მოთხოვნის კომპონენტის კვლევის მიხედვით დამსაქმებელთა 60% სწორედ სანაცნობო წრეში ეძებდა პოტენციურ სამუშაო ძალას.


პროფესიული მომზადება/გადამზადება

გამოკითხული რესპონდენტების 82,2%-მა გაიარა სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების 2016 წლის სახელმწიფო პროგრამის სრული კურსი, მათმა 17,8%-მა კი სწავლა ვადაზე ადრე შეწყვიტა. ამის ძირითადი მიზეზია ის, რომ მათი აზრით, სწავლა არ იყო მაღალი ხარისხის (38,9%).

დიაგრამა 4. სრული თეორიული კურსის გამვლელთა წილი



დიაგრამა 5. სწავლების შეწყვეტის მიზეზები




რაც შეეხება ყველაზე უფრო გავრცელებულ პროფესიებს, რომლებსაც რესპონდენტები ეუფლებოდნენ სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების 2016 წლის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, წინა წლის მსგავსად, უმთავრესად ფიქსირდება ბუღალტერია, ექთნის თანაშემწე და ოფის მენეჯერი. სხვა პროფესიზე მოთხოვნა მეტნაკლებად დაბალი იყო.

2015 წლისგან განსხვავებით პროგრამის განმახორციელებელი - სოციალური მომსახურების სააგენტო, 2016 წელს, უფრო აქტიურად თანამშრომლობდა დამსაქმებლებთან პროგრამის დაგეგმვის ეტაპზე. 2016 წელს გადამზადება მოხდა 68 პროფესიაში რაც 2015 წელთან შედარებით 11-ით მეტია. „პროფესიების დამატება მოხდა დამსაქმებლების მხრიდან მოთხოვნის საფუძველზე. უკუკავშირი გვქონდა ასევე პროფესიული კოლეჯებისგანაც“. თუმცა 2016 წელს, ისევე როგორც, წინა წელს პროფესიათა ჩამონათვალი შედგენილი იყო ძირითადად 2015 წელს ჩატარებული შრომის ბაზრის მოთხოვნის კომპონენტის კვლევის მიხედვით, ბაზარზე არსებულ საერთო მოთხოვნაზე დაყრდნობით. ეს მონაცემი კი მნიშვნელოვნად განსხვავდება იმ მოთხოვნისგან, რომელიც არსებობს იმ პროფესიებზე, რომლებზეც საკმარისია პროფესიული განათლება. ახლად დამატებული 11 პროფესიის გარდა გადამზადება მოხდა იმ 57 პროფესიაშიც, რომელშიც ბენეფიციარები 2015 წელსაც გადამზადდნენ. 2016 წელს ახალი კვლევა შრომის ბაზარზე სამუშაო ძალის მოთხოვნასთან დაკავშირებით არ ჩატარებულა, ასეთი კვლევის ჩატარება იგეგმება 2017 წლის სექტემბერში. „2017 წლის სექტემბრის მეორე ნახევრიდან ევროკავშირის მიერ გადამზადებული ჩვენი თანამშრომლები- კარიერის დაგეგმვს სპეციალისტები ჩაატარებენ თვისობრივ კვლევას. ევროკავშირის წარმომადგენლებმა გვიჩიეს, რომ ამ ადამიანებმა ჩაატარონ კვლევა. შესაბამისად სამინისტრომ დაზოგა რესურსი და აღარ გამოვაცხადებთ ტენდერს.“


რესპონდენტებს კითხვარის მეშვეობით უნდა შეეფასებინათ სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების 2016 წლის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში მიღებული ცოდნა 5 ბალიან სკალაზე, სადაც 1 ნიშნავდა დაბალს, ხოლო ხუთი - ძალიან მაღალს. საშუალო ართმეტიკული შეფასებით მიღებული ქულა შეადგენს 4,27-ს, რაც საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია.

რესპონდენტთა დიდი უმრავლესობის მიერ დაფიქსირებული პასუხების შესაბამისად, სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების 2016 წლის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში მიღებული ცოდნით, მომავალში დასაქმება შესაძლებელია. ასეთ პასუხს აფიქსირებს მათი 65,8%. გამოკითხულთა 24,7% თვლის, რომ დასაქმება შეუძლებელია, ხოლო 9,6%-მა დააფიქსირა, რომ უჭირს პასუხის გაცემა.

დიაგრამა 6. მიღებული ცოდნის შეფასება



დიაგრამა 7. საკმარისია თუ არა პროგრამის ფარგლებში მიღებული ცოდნა მუშაობის დასაწყებად



კოლეჯების ადმინისტრაციებს არ ჩაუტარებიათ რაიმე დამატებითი სამუშაოები პროგრამის განსახორციელებლად, ვინაიდან მათი თქმით, პროფესიული სწავლება (ავტორიზებული) უფრო მაღალ სტანდარტებს უწესებს მათ, ვიდრე ეს პროგრამა, და შესაბამისად უკვე მზად იყვნენ სწავლებისთვის. მათ უფლება ჰქონდათ ესწავლებინათ

მხოლოდ ის პროგრამები, რომელშიც გააჩნიათ სრულმამუშაობიანი კურსი (რომლის დასრულებისთვისაც გასცემენ დიპლომს).

საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ ჩაატარა ბენეფიციართა საკუთარი გამოკითხვა, რომელიც დასრულდა 2017 წლის ივლისში. კითხვარი შედგენილი იყო წინა წელს ევროპელი ექსპერტების დახმარებით და მისი მიზანი იყო ბენეფიციართა შორის დასაქმებულთა რაოდენობის დადგენა, თუმცა არ ყოფილა დასმული კითხვა იმაზე, თუ როდის დასაქმდა ბენეფიციარი და მუშაობს თუ არა ის იმ პროფესიით, რომელზეც გაიარა მომზადება-გადამზადება. „ზოგი დასაქმდა, ზოგს ეს კურსი სამუშაოს შენარჩუნებაში დაეხმარა, ზოგმა საკუთარი საწარმო გახსნა“.

სოციალური მომსახურების სააგენტო დამსაქმებლების პროგრამის კვალიფიკაციის ამდლების ნაწილში ჩართვას ცდილობს პირადი კონტაქტის საშუალებით - “პირველი დაკავშირება დამსაქმებულთან ძირითადად მეილებით ხდება. worknet.gov.ge-ზე 300-ზე მეტი დამსაქმებელია რეგისტრირებული და გარდა ამისა ყოველდღიურ რეჟიმში გვაქვს კონტაქტი 700-ზე მეტ დამსაქმებულთან, შესაბამისად მათ მომავალ გეგმებზე და სამუშაო ძალაზე მოთხოვნის შესახებ წინსწრებით ვიცით.“

შესაბამისად პროგრამის შესახებ ინფორმირებულია დამსაქმებელთა მხოლოდ ის ნაწილი, რომელთანაც სააგენტო ახერხებს კონტაქტს.

როგორც საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში აცხადებენ ვიდრე ბენეფიციარი სასურველ პროფესიას აირჩევს იგი გადის კონსულტაციას კარიერის დაგეგმვის სპეციალისტთან. „კარიერის დაგეგმვის სპეციალისტები გვყავს, რომელთანაც ბენეფიციარები გადიან კონსულტაციას. ისინი უხსნიან სად რა ხდება, როგორ იმუშაონ, რა პროფესია აირჩიონ, თუ აქვთ რამე განათლება გაიუმჯობესონ ცოდნა, თუ რაიმე სხვა პროფესია აირჩიონ“.

კვალიფიკაციის ამაღლება

სტაჟიორთა რაოდენობამ 2016 წელს შეადგინა 47. „2015 წელს იყო 2 სტაჟიორი, 2016 წელს კი გვყავდა უკვე 47 სტაჟიორი“.

სტაჟიორების შერჩევას დასაქმებულს ეგზავნებოდა კანდიდატთა გარკვეული ნუსხა, საიდანაც დამსაქმებელი თავად არჩევდა სასურველ კანდიდატს. როგორც ერთ-ერთი დამსაქმებელი აღნიშნავს - „სტაჟიორების გავლის ყველა მსურველის პირველადი შერჩევა განხორციელდა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს დასაქმების პროგრამების დეპარტამენტის თანამშრომელთა (job couch -ების) მიერ Worknet -ზე რეგისტრირებულ სამუშაოს მაძიებელთა ბაზიდან. სტაჟიორთა საბოლოო შერჩევის

პროცესში პირადად ვმონაწილეობდი. გასაუბრება მოხდა 13 კანდიდატთან. სამუშაოს მაძიებელთა უმრავლესობას ჰქონდა საშუალო, პროფესიული, არასრული უმაღლესი განათლება. ათიდან ორი იყო სრული უმაღლესი განათლებით (ორივე შშმპ).“

კითხვაზე, თუ რა კრიტერიუმზე დაყრდნობით შეირჩა კანდიდატები დამსაქმებელმა აღნიშნა- „სამუშაოზე აყვანისას დასაქმების მსურველთა შერჩევა მოხდა შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

- კომპეტენცია;
 - მოტივირებულობა;
 - პიროვნული მახასიათებლები, გუნდური მუშაობისა და სხვა უნარ-ჩვევები.
- კანდიდატთა შერჩევის პროცესში განათლებას ექცეოდა ყურადღება, მაგრამ გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ჰქონდა.“

პროგრამის კვალიფიკაციის ამდლების ნაწილში მონაწილე ორგანიზაციები აღნიშნავენ, რომ პროგრამა მათ ეხმარება კვალიფიციური კადრის პოვნაში - „პროგრამა კარგი შესაძლებლობაა როგორც დამსაქმებლებისთვის, ისე სამუშაოს მაძიებელთათვის, განსაკუთრებით კი - შშმ პირთათვის, რადგან დამსაქმებელი სტაჟირების პროცესში ზოგავს ფინანსურ რესურსს, სამუშაო ადგილზე პრაქტიკის გავლით კი ხელს უწყობს კანდიდატთა კვალიფიკაციის ამდლებას და საბოლოო ჯამში სამუშაოდ იღებს შესწავლილ, მეტნაკლებად კვალიფიცირებულ, გარემოსთან, პერსონალთან და შინაგანაწესის პირობებთან შეჩვეულ, უკვე ადაპტირებულ კადრს.“

როგორც ზევით აღვნიშნეთ, თეორიული კურსის შერჩევისას სამუშაოს მაძიებელი კონსულტაციას გადის კარიერის დაგეგმვის სპეციალისტთან, თუმცა კვალიფიკაციის ამდლების კომპონენტში მონაწილე კომპანიის წარმომადგენლების აზრით ასეთი სპეციალისტების რაოდენობა არასაკმარისია - „მიგვაჩნია, რომ დასაქმების კონსულტანტებისა და კარიერული დაგეგმვის სპეციალისტების რაოდენობა რესპუბლიკის მასშტაბით კრიტიკულად მცირეა. ისევე როგორც სამუშაოს მაძიებელთა დიფერენციაცია, უნდა მოხდეს დამსაქმებელთა დიფერენციაციაც . პრიორიტეტულად მოწყვლად ჯგუფებთან მომუშავე დამსაქმებლებისათვის უნდა არსებობდეს მასტიმულირებელი ინსტრუმენტები (მაგალითად: ტექნიკური მხარდაჭერა და სხვა).“

დამსაქმებელთა აზრით პრობლემას წარმოადგენს ასევე სამუშაოს მაძიებელთა მხრიდან საარსებო შემწეობის დაკარგვის შიში - „დასაქმების სურვილის მიუხედავად, არცთუ იშვიათად მოქალაქეები, მათ შორის შშმ პირები უარს ამბობენ სამუშაოს შეთავაზებაზე „სოციალურად დაუცველის“ სტატუსის მოხსნისა და მასთან დაკავშირებული ფინანსური დახმარებისა და სხვა ბენეფიტების დაკარგვის შიშით. ვფიქრობთ, ეს საკითხი უფრო სიღრმისეულად არის შესასწავლი და შესამუშავებელია ოპტიმალური მარეგულირებელი ნორმა.“

პროგრამის შეფასება

პროგრამისთვის გამოყოფილი მთლიანი ფულადი სახსრები შეადგენდა 2 014 000 ლარს. ამ თანხიდან გაიხარჯა მხოლოდ 1 313 250 ლარი. იქიდან გამომდინარე, რომ კოლეჯში სწავლებისთვის თითოეული ვაუჩერის ღირებულება არ უნდა ყოფილიყო 1 000 ლარზე მაღალი ფასის, ხოლო სტაჟირების ხანგრძლივობა, რომლის ანაზღაურებაც შეადგენდა თვეში მაქსიმუმ 150 ლარს, უნდა გაგრძელებულიყო არაუმეტეს 4 თვისა. თითო ბენეფიციარისთვის გამოყოფილი მაქსიმალური თანხა შეადგენდა 1 600 ლარს, ხოლო 2 014 000 ლარით შესაძლებელი იყო არანაკლებ 1 258 ბენეფიციარის მომზადება/გადამზადება.

პროგრამაზე თავდაპირველად დარეგისტრირდა 2 125 ბენეფიციარი და მათგან 1 804-მა სრულად გაიარა კურსი. იმ შემთხვევაში, თუ ყველა ბენეფიციარი გაივლიდა სტაჟირებას, პროგრამის ბიუჯეტი საკმარისი არ იქნებოდა ამის დასაფინანსებლად. თუმცა, როგორც ჩანს, პროგრამის განმახორციელებელ ორგანოს თავიდანვე ჰქონდა გათვლა იმაზე, რომ ბენეფიციართა უდიდესი ნაწილი ვერ გაივლიდა სტაჟირებას და შესაბამისად პროგრამის ხარჯი ბევრად ნაკლები იქნებოდა. ასეც მოხდა და გამოყოფილი თანხიდან 700 750 ლარი აუთვისებელი დარჩა.

პროგრამაში სტაჟირების მომსახურების მიმწოდებლად ჩაერთო მხოლოდ 8 კომპანია. ამ კომპანიებში სრული კურსი გაიარა 39-მა ბენეფიციარმა, რაც შეადგენს იმ ბენეფიციარების 2%-ს, რომლებმაც გაიარეს თეორიული კომპონენტის სრული კურსი. შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ პროგრამის დამთავრების შემდეგ ჩაატარა ბენეფიციართა სატელეფონო გამოკითხვა, რომლის შედეგადაც დადგინდა, რომ დასაქმებული იყო 530 სამუშაოს მაძიებელი, რაც შეადგენს რეგისტრირებულ ბენეფიციართა 29,3%-ს.

როგორც კვლევის დასაწყისში აღვნიშნეთ, პროგრამის განხორციელებას ვაფასებთ 3 კრიტერიუმით:

1. სტაჟირებაგავლილ ბენეფიციართა რაოდენობის თანაფარდობა, ბენეფიციართა საერთო რაოდენობასთან.
2. იმ ბენეფიციართა წილი ბენეფიციართა საერთო რაოდენობაში, რომლებიც პროგრამის დასრულების შემდეგ 1 წლის განმავლობაში დასაქმდნენ.
3. დახარჯული საბიუჯეტო სახსრებისა და დასაქმებულ ბენეფიციართა რაოდენობის თანაფარდობა.

შესაბამისად - პირველი ორი კრიტერიუმის მიზნებისთვის საუკეთესო შედეგია 100%, ხოლო მინიმალური შეფასება 0%. მესამე კრიტერიუმისთვის საუკეთესო შედეგი იქნებოდა 1 600 ლარი, ხოლო მისი ზრდა ნიშნავს ამ მაჩვენებლის გაუარესებას.

პირველი კრიტერიუმის მიხედვით სტაჟირება გაიარა 2125-დან მხოლოდ 39-მა ბენეფიციარმა. მათი თანაფარდობაა $39/2125*100=1,83\%$. ეს მაჩვენებელი საკმაოდ დაბალია და დაგეგმვის ეტაპზე არსებულ ხარვეზებზე მიუთითებს.

მეორე კრიტერიუმის მიხედვით დასაქმდა 530 ბენეფიციარი რაც შეადგენს საერთო ბენეფიციარების $530/2125*100=29,3\%$ -ს. 29,3% მნიშვნელოვნად აღემატება 2015 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს - 9,6%.

მესამე კრიტერიუმის მიხედვით თითოეულ დასაქმებულზე დაიხარჯა 1 313 $250/530=2477$ ლარი. ეს კი, დახარჯული საბიუჯეტო სახსრებისა და დასაქმებულ ბენეფიციართა რაოდენობის თანაფარდობის შესაძლო საუკეთესო მაჩვენებელზე - 1600 ლარზე 54 %-ით უარესია, ხოლო 2015 წლის მაჩვენებელზე 38,3%-ით უკეთესი (4011).

აღსანიშნავია, რომ პროგრამის მიზნის- „შრომის ბაზრის მოთხოვნად პროფესიებში სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადებით და სამუშაო ადგილებზე შემდგომი სტაჟირებით მათი კონკურენტუნარიანობის ამაღლება და ამ გზით სამუშაოს მაძიებელთა დასაქმების ხელშეწყობა“ შესრულებისათვის უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენდა - „კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, თავისუფალი სამუშაო ადგილების არსებობის შემთხვევაში, რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების (სტაჟირების) ორგანიზება“. თუმცა ამ ამოცანის ფორმულირებაში ჩანაწერი „სამუშაო ადგილების არსებობის შემთხვევაში“ თავიდანვე ეჭვქვეშ აყენებდა ამ ამოცანის შესრულებას, რომელზეც მნიშვნელოვანწილად იყო დამოკიდებული საბოლოო მიზნის მიღწევა. იმისათვის, რომ ეს ამოცანა შესრულებადი ყოფილიყო, პროგრამის მომზადების ეტაპზევე უნდა შერჩეულიყო ის კომპანიები, რომლებიც ბენეფიციარებს გაატარებდნენ სტაჟირებას.

სამუშაოს მაძიებელთა მომზადება-გადამზადების პროფესიათა ჩამონათვალი ძირითადად შედგა შრომის ბაზრის მოთხოვნის კომპონენტის კვლევის შედეგად გამოვლენილი მოთხოვნადი პროფესიების მიხედვით. ამ პროფესიებში გაერთიანებულია, როგორც მოთხოვნა საშუალო და პროფესიული განათლების მიხედვით, ისე უმაღლესი განათლების მიხედვით. გარკვეულ პროფესიებში დამსაქმებლები პროფესიულ განათლებას არ მიიჩნევენ საკმარისად და ითხოვენ უმაღლეს განათლებას. სამუშაოს მომზადების პროფესიული მომზადება-გადამზადების და კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამით გათვალისწინებული თეორიული კურსი შედგენილია პროფესიული განათლების კურსებიდან აღებული ცალკეული მოდულებისგან, შესაბამისად ამ კურსის ფარგლებში მიღებული ცოდნა არ აღემატება პროფესიული განათლების მქონე სტუდენტთა ცოდნას. ბენეფიციართა მიერ მოთხოვნა

უმეტესად იყო სწორედ ისეთ პროფესიებზე, სადაც დამსაქმებლები ითხოვენ უმაღლეს განათლებას², ამიტომ მათი მომავალი დასაქმება ამ პროგრამით გავლილი კურსის მიხედვით ნაკლებად სავარაუდოა.

დასკვნა

კვლევის შედეგად გამოჩნდა, რომ პროგრამამ დაბალი შეფასება მიიღო პრაქტიკულ კომპონენტში, სადაც სტაჟირება ბენეფიციართა მხოლოდ 2,6%-მა გაიარა.

კვლავ პრობლემას წარმოადგენდა ინფორმაციის ნაკლებობა ბენეფიციართა შორის, პროგრამის კვალიფიკაციის ამაღლების ნაწილთან დაკავშირებით.

პროგრამის კვალიფიკაციის ამაღლების ნაწილში მონაწილეობა მიიღო მხოლოდ 8 კომპანიამ, რაც საზოგადოებისა და ბიზნესის ნაკლებად ინფორმირებულობაზე მიუთითებს.

უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამის დაგეგმვის ეტაპზე კვლავაც არ მომხდარა კომპანიების, რომლებშიც ბენეფიციარები გაივლიდნენ სტაჟირებას, წინასწარ შერჩევა. შედეგად პროგრამის დაწყების მომენტისათვის უცნობი იყო შეძლებდნენ თუ არა ბენეფიციარები სტაჟირების გავლას. პრაქტიკული კომპონენტი კი მსგავსი პროგრამისთვის ძალზედ მნიშვნელოვანი და აუცილებელი ნაწილია.

სოციალური მომსახურების სააგენტო სტაჟირების ნაწილში ჩართულ კომპანიებს თავად უგზავნიდა იმ ბენეფიციართა ანკეტებს, რომლებიც მათი აზრით ყველაზე მეტად შეეფერებოდა კომპანიის საჭიროებებს, შემდეგ კი კომპანია თავად წყვეტდა ვინ აეყვანა სტაჟირებაზე. ასეთი სქემა შესაძლოა კომპანიებისთვის მეტნაკლებად კომფორტული იყოს, თუმცა ამით ბენეფიციართა ნაწილი კონკურსის გარეთ რჩება, ვინაიდან მათი ნაწილის ანკეტა არ ეგზავნება არც ერთ დამსაქმებელს.

პროგრამაში მონაწილეობა ვადაზე ადრე შეწყვიტა ბენეფიციართა 17,8%-მა, რაც ნაკლებია 2015 წელთან შედარებით (31%).

კოლეჯებისთვის არსებობს მხოლოდ პროგრამით გათვალისწინებული სპეციალობების ჩამონათვალი, მაგრამ არ არის განსაზღვრული ის კომპეტენციები, რომელსაც, ამა თუ იმ პროფესიის ადამიანი უნდა ფლობდეს. შესაბამისად კოლეჯები საკუთარი შეხედულებებისადმი ადგენენ პროგრამებს და სხვა და სხვა კოლეჯის კურსდამთავრებულთა ცოდნისა და კომპეტენციების დონე შესაძლებელია რადიკალურად განსხვავდებოდეს ერთმანეთისგან.

² http://www.moh.gov.ge/files/01_GEO/Shroma/kvleva/33.pdf

სერთიფიკატის გაცემის ერთადერთი საფუძველი იყო ბენეფიციარის კურსებზე დასწრების მაჩვენებელი და ბენეფიციარს არ უწევდა გამოცდის ჩაბარება, რაც მათ მიერ საჭირო ცოდნის მიღებას რისკის ქვეშ აყენებს.

პროგრამაში დაშვებული პროფესიების ჩამონათვალის ძირითადი ნაწილი, კვლავ 2015 წელს ჩატარებული შრომის ბაზრის მოთხოვნის კომპონენტის კვლევის შედეგებს ეფუძნებოდა, თუმცა მოთხოვნად პროფესიებად აღებული იყო ის პროფესიებიც, სადაც დამსაქმებელი ითხოვს უმაღლეს განთლებას და პროფესიული განათლება საკმარისი არ არის.

სასწავლო ჯგუფების დაკომპლექტებისას პრობლემას წარმოადგენს ბენეფიციართა განათლების განსხვავებული დონე, რაც გამოწვეულია იმით, რომ პროგრამაში მომზადებისა და გადამზადების კურსები არ არის გამიჯნული.

წინა წელთან შედარებით მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა დასაქმების მაჩვენებელი და 29,3% შეადგინა, თუმცა დასაქმებულთა შორის არიან ისეთებიც, რომლებიც მომზადება/გადამზადების გავლამდეც მუშაობდნენ.

გამოკითხულთა შორის პროგრამის ფარგლებში მიღებული ცოდნით მუშაობის დაწყება შეუძლებლად 24,7%-მა მიიჩნია.

ბაზარზე მოთხოვნადი პროფესიების შერჩევასა სამინისტრომ გარდა 2015 წელს ჩატარებული კვლევისა, გაითვალისწინა მოთხოვნა დამსაქმებელთა მხრიდან და პროფესიების რაოდენობა გაზარდა უშუალოდ დამსაქმებლების მიერ მიწოდებული ინფორმაციის შესაბამისად, რამაც გამოიწვია პროგრამის მონაწილეთა შორის დასაქმების ზრდა.

პროგრამის ფარგლებში დასაქმებულთა საკმაოდ დიდი ნაწილი 177 ბენეფიციარი დასაქმდა მომზადების კურსის დასრულების შემდეგ გამართულ დასაქმების ფორუმზე, რომელიც სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ იყო ორგანიზებული. შედეგიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ მსგავსი ფორუმები დადებითი ნაბიჯია დამსაქმებლისა და სამუშაოს მაძიებელთა დაკავშირების პროცესში.

2016 წელს ბიუჯეტიდან გამოყოფილი 2 014 000 ლარიდან, პროგრამის ფარგლებში ათვისებულ იქნა 1 313 250 ლარი. შესაბამისად ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი ვერც 2016 წელს შესრულდა სრულად.

რეკომენდაციები

1. ბენეფიციართა შერჩევა პროგრამებზე მოხდეს მათი უნარ-ჩვევებისა და ცოდნის გათვალისწინებით და პროფესიებზე, რომელზეც მოკლევადიანი კურსი საკმარისი არ არის, არ დაიშვან განსხვავებული პროფესიის ბენეფიციარები;
2. ერთმანეთისგან გაიმიჯნოს მომზადებისა და გადამზადების პროგრამები;
3. სამუშაოს მაძიებელთა მომზადება-გადამზადების პროფესიათა ჩამონათვალი უნდა შედგეს იმ პროფესიების მიხედვით, რომლებზეც საკმარისია პროფესიული განათლება და დამსაქმებლები არ ითხოვენ უმაღლეს განათლებას;
4. შედგეს არა მხოლოდ სპეციალობათა ჩამონათვალი კოლეჯებისთვის, არამედ იმ კომპეტენციების ნუსხა, რომელსაც ბენეფიციარი უნდა ფლობდეს სწავლების დამთავრების შემდეგ.
5. სერთიფიკატი გაიცეს მხოლოდ გამოცდის ჩაბარების შემთხვევაში.
6. უკეთესად იქნეს უზრუნველყოფილი პროგრამის საინფორმაციო კამპანია როგორც მოსახლეობისთვის, ისე დამსაქმებლებისთვის;
7. საწარმოები, რომლებშიც ბენეფიციარები გაივლიან სტაჟირებას, შეირჩეს პროგრამის დაწყებამდე;
8. პროფესიული მომზადების გავლის შემდეგ კვალიფიკაციის ამაღლებაზე უნდა მოხდეს ბენეფიციართა გადანაწილება კონკურენციის საფუძველზე. ბენეფიციარებს უნდა ჰქონდეთ ინფორმაცია კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამის არსებობის შესახებ და მათ უნდა მიეცეთ საშუალება თავად გააგზავნონ CV დამსაქმებელთან, რის შედეგადაც დამსაქმებელი საკუთარი კომპანიისთვის თვითონ აარჩევს სასურველ კანდიდატს.